საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

შ.პ.ს.
“თბილინვესტპროექტი”-ს დირექტორი,
სამთო და გეოინჟინერიის მაგისტრი — გ. სიყმაშვილი

გეოლოგიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი — გ. სადრაძე

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

გაცემულია დამკვეთის მიერ
/დამკვეთის ან ორგანიზაციის დასახელება/

I. საერთო ცნობები

1. ობიექტის სრული დასახელება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

2. ობიექტის მდებარეობა ~~თბილისი, სოფელი ლისი, ნაკვ №72.16.20.276~~
/ადმინისტრაციული კუთვნილება და მისამართი/

3. მშენებლობის მოკლე დახასიათება ახალმშენებლობა
/ახალმშენებლობა, რეკონსტრუქცია, გაფართოება/

II. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის
საჭირო მონაცემები.

4. დაპროექტების სტადია მუშა პროექტი
/წინასაპროექტო სტადია, პროექტი, მუშა პროექტი/

საპროექტო შენობა-ნაგებობების დახასიათება

5. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით ~~II~~

6. შენობის სართულიანობა და ზომები გეგმაში ორსართულიანი, 24,0 x 18,0 მ

7. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული ±0,00 = 672,5 მ

8. სარდაფის იატაკის საპროექტო ნიშნული მ

9. შენობის ტიპი კარკასულ-მონოლითური
/კარკასული, მონოლითური და სხვ./

10. საძირკვლის სავარაუდო ტიპი და ზომები ~~ლენტური~~

11. მოსალოდნელი საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ფუძეზე ~~200 კნ~~

12. სამშენებლო უბნის ტოპოგეგმა ნაგებობის კონტურებით მასშ. 1: 500 ~~1~~

პროექტის კონსტრუქტორი:

საინჟინრო-გეოლოგიური
დასკვნა

თბილისი, სოფელი ლისი, ნაკვ. №72.16.20.276-ში
ინდივიდუალური საცხოვრებელი
სახლის პროექტი

1. შესავალი

დაკვეთის საფუძველზე, შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოლოგთა ჯგუფმა ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები თბილისში, სოფ. ლისში. კვლევა-ძიების მიზანს წარმოადგენს დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნებისათვის გამოყოფილი მოედნის გეოლოგიური აგებულების, ჰიდროგეოლოგიური პირობებისა და გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა. დავალების თანახმად, აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სარდაფის სართულის გარეშე. შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, ზომებით 24,0 x 18,0 მ. შენობის ტიპი კარკასულ-მონოლითურია, საძირკვლის სავარაუდო ტიპი –– ლენტური, ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II.

დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების პირობების განსაზღვრის მიზნით ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: მოძიებულია და დასკვნაში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები "ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება", გ. ჯაფარიძის "თბილისის საინჟინრო გეოლოგია". უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად, სამშენებლო მოედანზე ექსკავატორის მეშვეობით გაყვანილია 3 შურფი, საერთო სიღრმით 18,0 გრძ/მ. თიხოვანი გრუნტიდან აღებულია ნიმუშები, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები შესრულდა შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. გამონამუშევრების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპო-გეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ, შურფები ამოივსო ამოღებული მასალით.

საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე დასკვნა. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლი წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (პნ 02.01-08) შენობების და ნაგებობების ფუძეები, ს.ნ. და წ. (პნ 01.01-09) სნ და წ 2.02.02-85 (ჰიდროტექნიკური ნაგებობები), სეისმომედეგი მშენებლობა, ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები) ს.ნ. და წ. 2.03.11-85 (სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა) სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები: კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულდა 2021 წლის აპრილში.

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ტერიტორიაზე, სოფ. ლისში. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ (№63 საბურთალო) კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12,2°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი –23°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობა – 67%, ყველაზე ცივი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა – 61%, ყველაზე ცხელი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა – 45%. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი –– 147 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი –– 14. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ –– 0,73 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ –– 0,85 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ –– შესაბამისად 28, 33, 35, 36, და 37 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, ქ. თბილისის მაკროსეისმური ინტენსივობა MSK64 სკალის მიხედვით 8 ბალს შეადგენს, ხოლო სეისმურობის კოეფიციენტი A - 0,17.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, გამოკვლეული უბანი მდებარეობს ლისის ქედის სამხრეთ ნაწილში. ტერიტორიის რელიეფი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით საშუალოდ დახრილი ზედაპირით არის წარმოდგენილი. სამშენებლო

მოედანს ოთხივე მხრიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები ესაზღვრება. სამშენებლო მოედანი განაშენიანებული არ არის, მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 670,5 – 675,5 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

ტერიტორიის მთავარ ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს ლისის ტბა, რომელიც მდებარეობს თბილისის ქვაბულში, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის დონიდან 625,0 მ-ის ნიშნულზე. იგი საზრდოობს წვიმის, თოვლის და მიწისქვეშა წყლით. ტბის ყველაზე მაღალი დონე გაზაფხულზე ფიქსირდება, დაბალი – შემოდგომაზე. მისი ზედაპირის ფართობი - 0,47 კმ^2, აუზის ფართობი - 16 კმ^2, მაქსიმალური სიღრმე 4,0 მ, წყლის მოცულობა – 1,22 მლნ. მ^3, წყლის მაქსიმალური ტემპერატურა 28°C.

3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით (შ. ადამია 2004) ტერიტორია განთავსებულია, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-რღვევითი მთიანი სარტყლის ჩრდილო აღმოსავლეთ დაბოლოებაზე, კერძოდ ლისის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაზე. ტერიტორია გეოლოგიურად აგებულია ზედა ეოცენური და ოლიგოცენური ასაკის ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. ქვიშაქვები და არგილიტები დასტებად არიან განლაგებულნი. ზედაპირზე ქანები ძლიერ გამოფიტული და ძლიერ ნაპრალიანია, სიღრმეში გამოფიტვის ხარისხი მცირდება, შესაბამისად ქანის სიმტკიცე მატულობს. ქვიშაქვები წვრილმარცვლოვანია, თიხურ ცემენტზე, ტექსტურა უწესრიგო. არგილიტები მუქი-ყავისფერია, თხელშრეებრივი, ტექსტურა შრეებრივია. ეს ძირითადი ქანები ზემოდან გადაფარულია მეოთხეული ასაკის, პროლუვიურ-დელუვიური თიხნარით და ნიადაგის ფენით.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყლები კლდოვანი ქანების ნაპრალებშია გავრცელებული. მათი მოძრაობა და რეჟიმი, ნაპრალების მიმართულებებზეა დამოკიდებული. წყალი ნაპრალური ხასიათისაა.

4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, თანახმად ს.ნ, და წ. 1.02.07-87-ის დანართი 10-ის მიხედვით, უბანი განეკუთვნება I (მარტივი) სირთულის საინჟინრო-გეოლოგიურ კატეგორიას. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად, აღნიშნულ მოედანზე გაყვანილია სამი შურფი, მაქსიმალური სიღრმით 6,0 მ. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე უბანზე გამოყოფილია ორი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

ფენა №1 ნიადაგის ფენა: pdQ_{IV} თიხნარი მუქი-ფერის, მცენარეთა ფესვების ჩანართებით, ჰუმუსირებული. ფენის სიმძლავრე 0,7-0,8 მ. გრუნტი მოჭრას ექვემდებარება. გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 9– a–I კატეგორიას.

ფენა №2 თიხნარი - pdQ_{IV} – მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი კონსისტენციის. გავრცელებულია ნაყარი გრუნტის ქვეშ. ფენა დასინჯულია 6 ნიმუშით. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები, გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი და დენადობის მაჩვენებელი. გრუნტის სიმტკიცის და დეფორმაციის მახასიათებლები მიღებულია პნ 01.05-08 დანართი 2, ცხრ. 2,3-ის და დანართი 3, ცხრ. 3-ის საფუძველზე, გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	1,85
2	ჩონჩხის სიმკვრივე	ρδ	გ/სმ^3	1,60
3	მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ^3	2,72
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ.	0,158
5	ფორიანობა	n	%	41
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,700
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ. ნაწ.	0,299
8	ტენიანობა პლასტიურობის ზღვარზე	Wp	ერთ. ნაწ.	0,167
9	პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	13,2
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	-0,07

11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,61
12	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,35
13	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	200
14	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	23^0
15	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,25
16	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	2,5

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 33-ე-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

მიწისქვეშა წყალი აღნიშნულ მოედანზე, გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ დაფიქსირდა.

5. დასკვნები და რეკომენდაციები

1. თბილისი, სოფ. ლისი, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი №72.16.20.276 მდებარეობს საშუალოდ დახრილ რელიეფზე, აბსოლუტური ნიშნულებით 670,5 – 675,5 მ. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევების “ქ, თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში”-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი უბანი მიეკუთვნება საშუალო გეოლოგიური საფრთხის ზონას. მიწის ნაკვეთი მდგრადია, ამჟამად, მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ზვავი, კარსტი, სუფოზია და სხვ.) განვითარებული არ არის.
2. სამშენებლო მოედანზე გამოიყო ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (ნიადაგის ფენა მხედველობაში არ მიიღება, ფენა მოჭრას ექვემდებარება). ამ სგე-ის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 2-ში ცხრ. 2

სგე	ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები	სიმკვრივე ρ, გ/სმ³	ხვედრითი შეჭიდულობა C კგძ/სმ²	შიგა ხახუნის კუთხე φ გრად	დეფორმაციის მოდული E მპა	საანგარიშო წინაღობა R₀, კგძ/სმ²	დენადობის მაჩვენებელი I_L	პუასონის კოეფიციენტი μ	გრუნტის დასახელება
I	A_n	1.85	0.25	23	20	2.5	-0.07	0.35	თიხნარი
	=0,85	1.84	0.25	23					
	=0,95	1.83	0.17	20					

3. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გათვალისწინებით, ფუძის გრუნტად მისაღებია I სგე. საძირკვლის ტიპი – ნებისმიერი ტიპის საძირკველი.
4. სამშენებლო მოედანზე, მიწისქვეშა წყალი გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ დაფიქსირდა.
5. ქვაბულის ფერდოს მაქსიმალური დასაშვები დახრა უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებულ უნდა იქნეს ს.ნ. და წ. 3.02.01-87-ის 3.11, 3.12, 3.15 პუნქტების გათვალისწინებით და ს.ნ. და წ. III-4-80 მე-9 თავის მიხედვით.
6. ქ. თბილისი, "სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01.-09)-ის სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონას, ხოლო იმავე კრებულის ცხრილი №1-ის მიხედვით, მოედნის ამგები გრუნტები, სეისმური თვისებებით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

გეოლოგიის მაგისტრი
ინჟინერ-გეოლოგი — გ. სადრაძე



თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თბილისი, სოფელი ლისი, ნაკვ. №72.16.20.276-ში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი	
დირექტორი	გ. სიყმაშვილი		შურფების განლაგების სქემა	
ინჟ.გეოლოგი	გ. სადრაძე			
შეასრულა	თ. ხევცურიანი			
შეამოწმა			სტადია · ფურცელი · ფურც-ბი · მასშტაბი	შ.პ.ს
			მუშა პროექტი · 1 · 2 · უმასშტაბო	"თბილინვესტპროექტი"



პირობითი ნიშნები

ნიადაგის ფენა: თიხნარი მუქი-ფერის, მცენარეთა ფესვების ჩანართებით, ჰუმუსირებული.

ლითოლოგიური საზღვარი

1 — თიხნარი მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი.

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თბილისი, სოფელი ლისი, ნაკვ. №72.16.20.276-ში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტი		
დირექტორი	გ. სიყმაშვილი				
ინჟ.გეოლოგი	გ. სადრაძე		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I		
შეასრულა	თ. ხევცურიანი				
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			მუშა/პროექტი	2	2	1:100	"თბილინვესტპროექტი"

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

შ-ფ. №1 მასშ: 1:20 აბს. ნიშნ 673.6

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სიმძლავრე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	ღონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	pdQIV		0.8	0.8	672.8	ნიადაგის ფენა: თიხნარი მუქი ფერის, მცენარეთა ფესვების ჩანართებით, ჰუმუსირებული.			
1 2 3 4 5 6	pdQIV		6.0	5.2	667.6	თიხნარი მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი.			1.8 3.0

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

შ-ფ. №2 მასშ: 1:20 აბს. ნიშნ 671.0

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სიმძლავრე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	ღონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	pdQIV		0.7	0.7	670.3	ნიადაგის ფენა: თიხნარი მუქი ფერის, მცენარეთა ფესვების ჩანართებით, ჰუმუსირებული.			
1 2 3 4 5 6	pdQIV		6.0	5.3	665.0	თიხნარი მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი.			1.4 2.6

შურფის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი

შ-ფ. №3 | მასშ: 1:20 | აბს. ნიშნ 672.7

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის საგების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	გრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
	pdQIV		0.8	0.8	671.9	ნიადაგის ფენა: თიხნარი მუქი ფერის, მცენარეთა ფესვების ჩანართებით, ჰუმუსირებული.			
1 2 3 4 5 6	pdQIV		6.0	5.2	666.7	თიხნარი მოყვითალო ფერის, ღორღის ჩანართებით, მყარი.			2.2 4.2

პროექტის დასახელება: თბილისი, სოფელი ლისი, ნაკვ. 72.16.20.276

გრუნტების შედგენილობის და ფიზიკურ-მექანიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისი

რიგითი №	ჭაბურღილის/შურფის №	ნიმუშის ალების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ													ტენიანობა W%		პლასტიკურობა			კონსისტენციის მაჩვენებელი, I_L	სიმკვრივე, გრ/სმ³			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	ტენიანობის ხარისხი, S_r	გრუნტის დასახელება
			60-40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	1-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	< 0.005	ბუნებრივი	შემავსებელი	ზღვა ზღვარი, W_L%	ქვედა ზღვარი, W_p%	პლასტიკურობის რიცხვი, I_p		მინერალური ნაწილაკების ρs	ბუნებრივი, ρ	ჩონჩხის, ρ_d				
1	1	1.8														15.4		30.1	16.8	13.3	-0.11	2.72	1.87	1.62	40	0.679	0.62	თიხნარი მყარი
2	1	3.0														16.4		31.6	17.8	13.8	-0.10	2.72	1.84	1.58	42	0.721	0.62	თიხნარი მყარი
3	2	1.4														14.9		29.4	16.1	13.3	-0.09	2.71	1.81	1.58	42	0.720	0.56	თიხნარი მყარი
4	2	2.6														15.5		30.2	17.2	13.0	-0.13	2.72	1.88	1.63	40	0.671	0.63	თიხნარი მყარი
5	3	2.2														16.8		29.2	16.3	12.9	0.04	2.72	1.84	1.58	42	0.727	0.63	თიხნარი ნახევრადმყარი
6	3	4.2														15.7		28.6	15.9	12.7	-0.02	2.71	1.86	1.61	41	0.686	0.62	თიხნარი მყარი

შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკური
ლაბორატორიის ხელმძღვანელი : თ. ხევცურიანი

თარიღი: 14.04.2021

I ს.ბ.ე. მექანიკური მახასიათებლების საანგარიშო მნიშვნელობები

№№	ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები	განზომილება	განსაზღვრის რაოდენ.		საშ.კვადრ. გადახრა	საშ.კვადრ. გადახრის შეფასება	ვარიაციის კოეფ.	ნორმატიული მნიშვნ.	გრუნტის საიმედობის კოეფიციენტი	საანგარიშო მნიშვნელობა	
			საწყისი	საბოლოო	σ	σ cm	ν	An	γg	α=0,85	α=0,95
1	შეჭიდულობა C	კპა/სმ²			0.000	0.000	0.000	0.25	1.5	0.25	0.17
2	შიგა ხახუნის კუთხე φ	გრად			0.000	0.000	0.000	23	1.15	23	20
3	სიმკვრივე ρ	გ/სმ³	6	6	0.025	0.023	0.013	1.85		1.84	1.83
4	დეფორმაციის მოდული E	კპა/სმ²						200	1	200	200
5	ბუნებრივი ტენიანობა W	ერთ.ნაწ	6	6				0.158	1	0.158	0.158

I ს.ბ.ე. ფიზიკური თვისებების ნორმატიული მნიშვნელობები

№№	ფორიანობის კოეფიციენტი e	ბუნ. ნაწილის სიმკვრივე ρ_s	ბუნების სიმკვრივე ρ_d	პლასტიურობის ზღვარი W_L	პლასტიურობის ზღვარი W_p	პლასტიურობის რიცხვი I_p	დენადობის მაჩვენებელი I_L	ფორიანობა n	ტენიანობის ხარისხი Sr	პუასონის კოეფიციენტი μ	საანგარიშო წინაღობა R_o
		გ/სმ³	გ/სმ³	ერთ.ნაწ	ერთ.ნაწ	ერთ.ნაწ	ერთ.ნაწ	ერთ.ნაწ	ერთ.ნაწ		კპა/სმ²
1	0.700	2.72	1.60	0.299	0.167	13.2	-0.07	0.412	0.61	0.35	2.50

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01210983235**
თარიღი: **08/04/2021**
პინი: **5381**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში შემოსული თქვენი 2020 წლის 5 ოქტომბრის N16-01202762071 წერილთან დაკავშირებით გიგზავნით სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 22 ნოემბრის N5007613820 წერილს, N72.16.20.145 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების 2018 წლის საბაზრო ღირებულებასა და თქვენს მიერ წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გათვალისწინებით არსებულ ფასთაშორის სხვაობასთან დაკავშირებით.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი;

პატივისცემით,

თამარ მელიქიშვილი

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-ქონების მართვის სამსახური-სააგენტოს უფროსის მოადგილე (სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

№ 5007613820

22/12/2020 წ.

5007613820

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ -
ქონების მართვის სააგენტოს უფროსს ბატონ ირაკლი
თავართქილაძეს

ბატონო ირაკლი,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N61-01203162382 მომართვის (ბიუროს 2020 წლის 12 ნოემბრის რეგისტრაციის N8000282020) საფუძველზე, გიგზავნით N007593220 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 11 ფურცლად;

პატივისცემით,

მერაბ გამყრელიძე

ბიუროს უფროსის მოადგილე

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. N84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის 2ა
ბათუმი , პ. მელიქიშვილის ქ. N102
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162
2A I. Chavchvadze str., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili str., Batumi
(995 32) 2258484
info@expertiza.gov.ge

გაფრთხილება

დეპარტამენტების უფროსების მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებულები ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა:

დამნიშნავი:

სტრუქტურა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ქვესტრუქტურა: სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

დასახელება: სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

თანამდებობა: სააგენტოს უფროსი

მისამართი:

სახელი და გვარი: ირაკლი თავართქილაძე

საფუძველი: მომართვა

შემსრულებელი ექსპერტები:

ანი მარგველაშვილი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 6 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი №A-0725

ანა თევდორაშვილი / სასაქონლო და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტის სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 5 წლის სტაჟით.შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი N A-0728; შემფასებელთა და ექსპერტთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ISO/IEC 17024 სტანდარტის მიხედვით გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატი N P-0352

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

ქ. თბილისში ვაკე-საბურთალოს რაიონი, სოფელი ლისის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე 2020 წლის 20 ოქტომბრის №325 განკარგულებით შეთანხმდა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 18 ნოემბრის №01/1711 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი. აღნიშნული პროექტი მოიცავს კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს: №72.16.17.583; №72.16.17.560; №72.16.17.572; №72.16.17.573; №72.16.17.574; №72.16.17.441; №72.16.17.563; №72.16.17.575; №72.16.17.439; №72.16.17.438; №72.16.17.444 რომელზეც დღეის მდგომარეობით მიწათსარგებლობის გენგეგმის მიხედვით ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა.

კორექტირებული პროექტის მიხედვით ასევე, საპროექტო არეალში ექცევა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №72.16.20.145 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი (49453 კვ.მ), რომელზეც დღეის მდგომარეობით მიწათსარგებლობის გენგეგმის მიხევით ვრცელდება ზოგადი სარეკრეაციო ზონა.

გიგზავნით განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დანართს და მოგმართავთ თხოვნით, დაადგინოთ კორექტირებული გრგ-ს მიხედვით, საპროექტო არეალში მოქცეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (49453 კვ.მ - დანართზე მონიშნულია ვარდისფერი შეფერილობით) საბაზრო ღირებულება, რომელიც სამომავლოდ კორეტირების შედეგად გახდება შპს „ლისი ჰილსი“-ს საკუთრება და ასევე, დაადგინოთ „ლისი ჰილსი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (49453 კვ.მ - დანართზე მონიშნულია ცისფერი შეფერილობით) საბაზრო ღირებულება, რომელიც კორექტირების

შედეგად გახდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრება.

აქვე დამატებითი ინფორმაციის სახით განგიმარტავთ, რომ წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი ითვალისწინებს ფუნქციური ზონის ცვლილებას: კერძოდ საპროექტო არეალში მოქცეულია ტერიტორია (როგორც მუნიციპალიტეტის ასევე ლისი ჰილსის საკუთრება) რომელსაც მინიჭებული აქვს ზოგადი სარეკრეაციო ზონა. აღნიშნული ზოგადი სარეკრეაციო ზონა იცვლება სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, შეფასების დროს გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი (ზოგადი სარეკრეაციო ზონა), რომელიც განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით შეიცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (3452 კვ.მ), შეფასდეს ზოგადი სარეკრეაციო ზონით. ხოლო ის ნაწილი (ზოგადი სარეკრეაციო ზონა), რომელიც განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით შეიცვლება ზოგადი სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) (46001 კვ.მ), შეფასდეს სარეკრეაციო ზონა 3-ით.

შემოსვლის თარიღი: 12/11/2020 წ

გასვლის თარიღი: 22/12/2020 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №72.16.20.145 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დანართზე ვარდისფერი შეფერილობით მონიშნული 49453 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 895 847 ლარს.

ქ. თბილისში მდებარე, შპს „ლისი ჰილსის“ საკუთრებაში არსებული, №72.16.17.583, №72.16.17.560, №72.16.17.572, №72.16.17.573, №72.16.17.574, №72.16.17.441, №72.16.17.563, №72.16.17.575, №72.16.17.439, №72.16.17.438 და №72.16.17.444 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დანართზე ცისფერი შეფერილობით მონიშნული 49453 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2020 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 4 895 847 ლარს.

ანი მარგველაშვილი

ანა თევდორაშვილი

გამოკვლევა

ექსპერტიზის წინაშე დასმული იქნა საკითხი დადგინდეს, ქ. თბილისში მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №72.16.20.145 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დანართზე ვარდისფერი შეფერილობით მონიშნული 49453 კვ.მ მიწის ნაკვეთის და შპს „ლისი ჰილსის“ საკუთრებაში არსებული, №72.16.17.583, №72.16.17.560, №72.16.17.572, №72.16.17.573, №72.16.17.574, №72.16.17.441, №72.16.17.563, №72.16.17.575, №72.16.17.439, №72.16.17.438 და №72.16.17.444 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დანართზე ცისფერი შეფერილობით მონიშნული 49453 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებები. აღნიშნულის გადაწყვეტის მიზნით ექსპერტების მიერ დათვალიერებული, დასურათებული და შესწავლილი იქნა შესაფასებლად წარმოდგენილი უძრავი ქონებები.

ობიექტი 1: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №882019036306; მომზადების თარიღი – 21/01/2019) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.20.145; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისის მიმდებარედ; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება; **ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 2469650.00 კვ.მ; **ნაკვეთის წინა ნომერი:** 72.16.17.966; **მესაკუთრე:** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:204521794.

ობიექტი 2: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018406391; მომზადების თარიღი –

18/05/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.583; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, სოფელი ზემო ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 27000.00 კვ.მ; **ნაკვეთის წინა ნომერი:** 72.16.00.199; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 3: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018406363; მომზადების თარიღი – 18/05/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.560; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 45000.00 კვ.მ; **ნაკვეთის წინა ნომერი:** 72.16.00.766; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 4: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018406328; მომზადების თარიღი – 15/05/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.572; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 53161.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 5: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018771954; მომზადების თარიღი – 07/09/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.573; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 44610.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 6: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018406291; მომზადების თარიღი – 17/05/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.574; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 45060.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 7: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018406272; მომზადების თარიღი – 16/05/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.441; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 45700.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 8: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №882020622605; მომზადების თარიღი – 07/09/2020) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.563; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 44823.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 9: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018406162; მომზადების თარიღი – 17/05/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.575; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 45400.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 10: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018406414; მომზადების თარიღი – 18/05/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.439; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, სოფელი ქვემო ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 27000.00 კვ.მ; **ნაკვეთის წინა ნომერი:** 72.16.00.199; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 11: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018406435; მომზადების თარიღი – 15/05/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.438; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 15903.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ობიექტი 12: საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია №892018406125; მომზადების თარიღი – 15/05/2018) მისი მონაცემებია: **საკადასტრო კოდი**: №72.16.17.444; **მისამართი:** ქალაქი თბილისი, ლისი; **ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება**; ნაკვეთის დანიშნულება:** სასოფლო სამეურნეო; **დაზუსტებული ფართობი**: 25040.00 კვ.მ; **მესაკუთრე:** შპს „ლისი ჰილსი“, ID ნომერი: 405235375.

ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზე დაყრდნობით, შესაფასებელი ქ. თბილისში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №72.16.20.145 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დანართზე ვარდისფერი შეფერილობით მონიშნული მიწის ნაკვეთი (49453 კვ.მ) განეკუთვნება სარეკრეაციო ზონას 3-ს (რზ-3), რომლის კოეფიციენტებია: **K1:** 0.3; **K2:** 1; **K3:** 0.6 და სატრანსპორტო ზონას 1-ს

(ტზ-1), რომლის კოეფიციენტებია: **K1:** 0; **K2:** 0; **K3:** 0.1. თუმცა დამკვეთის მოთხოვნით სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1; 3452 კვ.მ) შეფასდა სარეკრეაციო ზონით (რზ).

ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ინტერაქტიულ რუკაზე დაყრდნობით, შესაფასებელი შპს „ლისი ჰილსის“ საკუთრებაში არსებული, №72.16.17.583, №72.16.17.560, №72.16.17.572, №72.16.17.573, №72.16.17.574, №72.16.17.441, №72.16.17.563, №72.16.17.575, №72.16.17.439, №72.16.17.438 და №72.16.17.444 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დანართზე ცისფერი შეფერილობით მონიშნული მიწის ნაკვეთი (49453 კვ.მ) განეკუთვნება სარეკრეაციო ზონას (რზ), რომლის კოეფიციენტებია: **K1:** 0; **K2:** 0; **K3:** 0.

შესაფასებელი ობიექტები წარმოადგენენ ვაკანტურ მიწის ნაკვეთებს, რომელთაც არ გააჩნიათ შემოღობვა.

შეზღუდვები და დაშვებები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები:

1. მოცემული დასკვნა მოიცავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს მის მიერ დადგენილ ღირებულების მაჩვენებელთან მიმართებაში/ობიექტის სავარაუდო გასაქირავებელი ფასი/ და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შეფასებული ქონება გაქირავებული იქნება ზუსტად შეფასებული ღირებულების მიხედვით.
2. შეფასების ჩატარების დროს იგულისხმებოდა, რომ არ არსებობდა რაიმე ფარული ფაქტორები, რომლებიც გავლენას იქონიებდნენ შესაფასებელი ქონების ღირებულების განსაზღვრაზე. შემფასებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ასეთი ფაქტორების აღმოჩენაზე;
3. ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე შეიძლება არ არსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტები, რომლებიც განსხვავდებიან თანხობრივი მაჩვენებლებით.
4. შემფასებლის მიერ მიღებული ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი მოქმედია მხოლოდ შეფასების თარიღისათვის. შემფასებელი არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების ცვლილებებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაციაზე და შესაბამისად შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულებაზე.
5. ანალოგებზე მონაცემები მოპოვებულია სჯარო რეესტრის ელექტრონული ბაზის, საგაზეთო გამოცემების, ინტერნეტის და “რიელტური” ფირმების მეშვეობით, რომელთა ინფორმაციასაც გააჩნიათ ყველაზე მაღალი ნდობის ფაქტორი.
6. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო და მათ შორის საქართველო იმყოფება გლობალური პანდემიის პირობებში და ექსპერტებისათვის უცნობია, თუ რა გავლენას მოახდენს აღნიშნული ფაქტი უძრავი ქონების ბაზრის შემდგომ განვითარებასა და ფასებზე, აქედან გამომდინარე წინამდებარე დასკვნაში ჩატარებულ კვლევასა და მიღებულ საბაზრო ღირებულებაში არ არის ასახული პანდემიის შედეგად განვითარებული შესაძლო ცვლილებები.

შეფასების მეთოდოლოგია

საბაზრო ღირებულების დეფინიცია

„საბაზრო ღირებულება წარმოადგენს გამოთვლად ფულად სიდიდეს, რომელითაც გაიცვლება ქონება შეფასების თარიღისათვის დაინტერესებულ მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის “გაშლილი მკლავის” პრინციპით ტრანსაქციისას, მართებული მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს გათვითცნობიერებულად, წინდახედულად და ძალდატანების გარეშე” (IVS –1, პარა. 3.1.).

უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება მიღებულია აღნიშნული პერიოდისათვის მომსახურების ბაზარზე იდენტური (ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში მსგავსი) ქონების მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთზემოქმედების შედეგად დადებული გარიგების საფუძველზე. უძრავი ქონების ბაზრად ითვლება მიმოქცევის სფერო, რომელიც განისაზღვრება გამყიდველის/მყიდველის შესაძლებლობებით, მნიშვნელოვანი დანახარჯის გარეშე გაყიდოს/შეიძინოს ქონება გამყიდველისთვის/მყიდველისათვის უახლოეს ტერიტორიაზე საქართველოში.

შეფასების გამოყენებული მეთოდი

ამ შეფასების მიზნებისათვის შემფასებლის მიერ გამოყენებულ იქნა ***საბაზრო (გაყიდვების შედარების მიხედვით) მიდგომა***, *რაც* გულისხმობს შემდეგს: შესაფასებელი ობიექტის პირდაპირ შედარებას ანალოგების იმ მონაცემებთან, რომლებიც გაყიდულ იქნა ან რომლებიც განცხადებული არიან გასაყიდად.

საბაზრო (გაყიდვების შედარების მიხედვით) მიდგომა

გაყიდვების შედარებაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებისას, შემფასებელმა განახორციელა ქმედებების შემდეგი თანმიმდევრობა:

- გამოიკვლია ბაზარი (მოახდინა ბაზრის იმ მონაცემების მოპოვება და ანალიზი, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ დადგენილიყო ანალოგიური უძრავი ქონების ობიექტები);
- დაადგინა ინფორმაციის სისწორე;
- შეარჩია შედარების ის ელემენტები, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა შესაფასებელი ქონების ობიექტის შედარება ანალოგებთან;
- შეადარა გაყიდვადი ქონების ობიექტები განსახილველ ქონებას, შედარების ელემენტების გამოყენებით;
- დააკორექტირა ყველა ანალოგიური დადგენილი შედარების ელემენტის ფასები შესაფასებელი უძრავი ქონების ელემენტებთან მიმართებაში;
- დაადგინა შესაფასებელი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება ანალოგებთან დაკორექტირებული ფასების შეჯერების გზით.

შედარების ელემენტები

შედარების ელემენტები განსაზღვრავენ ქონების ობიექტების და გარიგებების სპეციფიურ მახასიათებლებს, რომლებიც ხსნიან ფასების ვარიაციებს. ბაზრის ანალიზი ავლენს, რომელი ელემენტებია განსაკუთრებით მგრძნობიარე.

გაყიდვების შესადარისი მონაცემების ანალიზისას ძირითადად ითვლება შემდეგი შედარების ელემენტები:

- *უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებების გადაცემა...*
- *ფინანსირების პირობები ....*
- *გაყიდვის პირობები ....*
- *დანახარჯები, რომელიც გასაწევია უშუალოდ ყიდვის შემდეგ ...*
- *ბაზრის პირობები ...*
- *ადგილმდებარეობა ....*
- *ფიზიკური მახასიათებლები ...*
- *ეკონომიკური მახასიათებლები ...*
- *გამოყენება ...*
- *გაყიდვის არა-უძრავი კომპონენტები...”*

ამ კვლევისათვის ექსპერტების მიერ დღეის მდგომარეობით მოძიებული იქნა შესაფასებელი მიწის ნაკვეთების მსგავსი რამოდენიმე შესადარისი ობიექტი, რომლებიც განთავსებულია იმავე უბანში, დაკორექტირდა სხვადასხვა შედარების ელემენტზე და შეფასების პერიოდისათვის მიღებული იქნა საბოლოო საორიენტაციო საბაზრო ღირებულება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, №72.16.20.145 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დანართზე ვარდისფერი შეფერილობით მონიშნული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენს **99** ლარს, შესაბამისად 49453 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური 2020 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს **4 895 847** ლარს.

ქ. თბილისში მდებარე, შპს „ლისი ჰილსის“ საკუთრებაში არსებული, №72.16.17.583, №72.16.17.560, №72.16.17.572, №72.16.17.573, №72.16.17.574, №72.16.17.441, №72.16.17.563, №72.16.17.575, №72.16.17.439, №72.16.17.438 და №72.16.17.444 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ დანართზე ცისფერი შეფერილობით მონიშნული 1 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენს **99** ლარს, შესაბამისად 49453 კვ.მ მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური 2020 წლის 18 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს **4 895 847** ლარს.

ანი მარგველაშვილი

ანა თევდორაშვილი

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: დავით ამაშუკელი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: გიორგი ჩადუნელი

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8

3007618220

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

მიღება-ჩაბარების აქტი № 3007618220

რეგიონი	თბილისი	დასრულების თარიღი	22/12/2020

დოკუმენტი:

რეგისტრაციის ნომერი:	8000282020	მომსახურების ტიპი:	დაჩქარებული
რეგისტრაციის თარიღი:	12/11/2020	საქმის ნომერი:	61-01203162382
ხელშეკრულების ნომერი:		ხელშეკრულების თარიღი:	
შეთანხმების ნომერი:		შეთანხმების თარიღი:	
დასკვნის ნომერი:	007593220		

ექსპერტიზის დამკვეთი :

სახელი და გვარი:	ირაკლი თავართქილაძე
პირადი ნომერი:	
სტრუქტურა:	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ქვესტრუქტურა:	სსიპ - ქონების მართვის სააგენტო
დასახელება:	სსიპ - ქონების მართვის სააგენტო
საიდენტიფიკაციო კოდი:	205296375
თანამდებობა:	სააგენტოს უფროსი
დოკუმენტის შემომტანი:	ეთერ ღვინიაშვილი

შესრულებული კვლევის კოდი (საქ.მთავრობის 08.05.2012 N171. დადგენილების მიხედვით)	ობიექტების რაოდენობა	საექსპერტო (დაჩქარებული) მომსახურების ტარიფი კვლევის ერთეულზე (დ.ღ.გ.–ს ჩათვლით)	თანხა
251. - უძრავი ქონების (სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი) საბაზრო ღირებულების განსაზღვრა	11	50	550
3001. - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება	1	106,50	106.5
		ჯამი:	656.50
		საბოლოო ფასი:	656.50

შემსრულებელი ექსპერტ(ებ)ი (სპეციალისტი):

ანა თევდორაშვილი		ანი მარგველაშვილი	
სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი		სასაქონლო ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი	

სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი / პასუხისმგებელი პირი

(ხელმოწერა)

მიმღები პირი

ონლაინ სერვისით რეგისტრირებული

(ხელმოწერა)

გაცემის თარიღი	22/12/2020